# კურზატი® R ს.ფ.

## პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედების სისტემური ფუნგიციდი




## შევქმნათ ახალი ტრადიციები

DUPONT®

# კურზატი® R ს.ფ.

**პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედების სისტემური ფუნგიციდი**
**ხანგრძლივი და ეფექტური დაცვა**

## მოქმედი ნივთიერება

4,2 % ციმოქსანილი + 68,95 % სპილენძის ქლორჟანგი

**კურზატი® R ს.ფ.** შედგება ციმოქსანილისა და სპილენძის ქლორჟანგისაგან — ორი განსხვავებული მოქმედების მექანიზმის მქონე ნივთიერებისაგან.

**ციმოქსანილი** სწრაფად აღწევს მცენარის შიგნით და ანადგურებს სოკოს სპორებს საინკუბაციო პერიოდის პირველ ნახევარში. მას გააჩნია დამცავი, სამკურნალო და ანტისპორულაციური თვისებები.

## თვისებები

**კურზატი® R ს.ფ.** მაქსიმალურ ეფექტს იძლევა პროფილაქტიკური შესხურებისას ან ავადმყოფობის ადრეულ ფაზაში, მაშინ როდესაც მცენარეზე ავადმყოფობის სიმპტომები ჯერ კიდევ არ გამოჩენილა. კონტაქტური პრეპარატებისაგან (სპილენძის ქლორჟანგი, შაბიამანი) განსხვავებით **კურზატი®** R-ს გააჩნია სამკურნალო თვისებებიც.

**კურზატი®** R-ით დამუშავება განსაკუთრებით მიზანშეწონილია რთულ კლიმატურ პირობებში (ხანგრძლივი წვიმები, მაღალი ტენიანობა), ასევე იგი რეკომენდირებულია მცენარეთა დაცვის ინტეგრირებულ სისტემებში გამოსაყენებლად.

## რეკომენდირებული დოზები

**ვაზი, პამიდორი და კარტოფილი:**
პირველი შესხურება: პროფილაქტიკური ან არაუგვიანეს 2 დღისა ინფექციის დაწყებიდან. შემდგომი შესხურებები — 10-12 დღის ინტერვალით.

**კიტრი:**
პირველი შესხურება: პროფილაქტიკური ან არაუგვიანეს 2 დღისა ინფექციის გავრცელებიდან. შემდგომი შესხურებები - 7 დღის ინტერვალით

| კულტურა | დაავადება | ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა) |
|---|---|---|
| **ვაზი** | ჭრაქი | 2 |
| **პამიდორი** | ფიტოფტოროზი | 2-2,5 |
| **კარტოფილი** | ფიტოფტოროზი | 2-2,5 |
| **კიტრი** | პერონოსპოროზი | 2,5-3 |

ვაზზე რეკომენდირებულია პირველი სამი შესხურების ჩატარება. განსაკუთრებით ეფექტურია ყვავილობის წინ და ყვავილობის დამთავრების თანავე. ეს შესხურებები განაპირობებს ყვავილედების და ნაყოფის თითქმის სრულ შენარჩუნებას, ამცირებს აგრეთვე ნაცრით დაავადების საშიშროებას (მეორადი ეფექტი). კურზატი® R არ ახდენს გავლენას ღვინის ფერმენტაციაზე.

რეგისტრირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ სარეგისტრაციო № 097 (14.10.99.)

® DuPont-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი

**გარემო და ანალიტიკა, შპს**
კოსტავას გამზ. 75ა, I სართ.
თბილისი, 0171, საქართველო
ტელ./ფაქსი 44 55 42, 44 55 43
e-mail: garemo@hotmail.com